ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2326848

ნომერი: AR1357414

თარიღი : 17.11.2015

გაცემის თარიღი : 04.12.2015

გაცნობის თარიღი : 04.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კორახაშვილი პ/ნ 14001004970
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 44 ბ. 36

ორგანიზაცია:
- შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" კოდი: 412670097

ნომენკლატურა :

- ოფისი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2156339
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 25.08.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ოფისი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი ვაჩნაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით კორახაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 14001004970

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 8134.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 558.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5957.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 3523.6
- .მანსარდის ფართობი (კვ.მ).: 241.2
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 435.7
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 355.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 1401.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 24753.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 23105.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1648.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 47.72
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 44.26
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.46
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 558=0.69
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6026.5=0.74
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4758.8

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად განმეორებით ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმის pdf და ვექტორული (AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით) ფაილები; შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100 -> გეგმების pdf ფაილი; საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი (AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით):

- საპროექტო გენგეგმა წარმოადგინეთ 1:500 მასშტაბშიც და შესაბამისი ექსპლიკაციით, გრაფიკული და პირობითი აღნიშვნით გამოყავით საპროექტო და არსებული გზები (საპროექტო გზის მთლიანი არეალის ჩვენებით) და დაიტანეთ ყველა იმ საკადასტრო ერთეულის საზღვრები (შესაბამისი საკადასტრო კოდის მითითებით), რომელსაც მოიცავს საპროექტო გზის არეალი და წამროადგინეთ ყველა მათგანის მესაკუთრის (საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული) შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა გზის მოწყობასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ გზის მოწყობა პროექტის მიხედვით ასევე ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე დამატებით ატვირთეთ გზის მოწყობასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა (შესაბამისი დანართებით) და შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა.
- წარმოადგინეთ გაერთიანებული საკადასტრო საზღვრების შესაბამისი საპროექტო ტერიტორიის არსებული

ტოპო გეგმა 1:500 მასშაბში, ექსპლიკაციების, პირობითი აღნიშვნების, ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო კომუნიკაციების (არსებობის შემთხვევაში) დატანით, პასუხისმგებელი პირების მიერ ხელისმოწერით დადასტურებული სახით. ასევე, საკადასტრო საზღვრები შეასწორეთ საპროექტო გენგეგმაზეც საჯარო რეესტრის საკადასტრო გეგმაზე დატანილი კონფიგურაციის შესაბამისად.

- არსებულ ტოპოგეგმაზე, -2,46 და 0,00 ნიშნულზე განთავსებული სართულების გეგმებზე შესაბამისი პირობითი აღნიშვნებით და ექსპლიკაციებით დაიტანეთ მოსაჭრელი, არსებული შესანარჩუნებელი და გადასარგავი (ტერიტორიის მონიშვნით) ხე–ნარგავები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- არსებული ხე–ნარგავების მოჭრა/გადარგვის შემთხვევაში საჭიროა დამატებით ატვირთოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქ. თბილისში (მითითებული უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის მისამართი) არსებულ მიწის ნაკვეთზე, მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის გაცემის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გასცემს მიწის ნაკვეთზე არსებული (ამა და ამ) მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვას. აქვე, დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტის მოპოვების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, უნდა წარადგინოთ შემდეგი სახის დოკუმენტაცია: ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა მასზე დატანილი მწვანე ნარგავებით და აღნიშნული მწვანე ნარგავების აღწერილობა.

2. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა -> სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი: საჭიროა ატვირთოთ მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა შემდეგი შემადგენლობით: გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილები; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის ნიშნულის განსაზღვრით (ფორმულა H=L/Y) და მათი შემაერთებელი სხივის ჩვენებით.

3. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები -> ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით): მიუთითეთ მოსაპირკეთებელი მასალები და ფერი, გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

4. სატიტულო ინფორმაცია -> ფუნქციური დანიშნულების სახეობა: მიუთითეთ სრულად – სამეურნეო ობიექტი და მისი ადმინისტრაციის შენობა (ოფისები).

5. სატიტულო ინფორმაცია -> ელექტრონული ფოსტა: შესაბამის ველში მიუთითეთ საპროექტო ორგანიზაციის სახელწოდება და მისი საიდენტიფიკაციო კოდი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოუსწორებლობის და დოკუმენტაციის არასრულყოფილი სახით წარმოდგენის შემთხვევაში აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.